*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის*
*სადისერტაციო საბჭოს სხდომა*

**ო ქ მ ი №6** *28 ივნისი 2013 წ.*

**სხდომას ესწრებოდნენ:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სრული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ასისტ. პროფესორი მანანა ლობჟანიძე, სადისერტაციო საბჭოს წევრები, სულ: 33 წევრი (ხელმოწერები თან ერთვის ოქმს).

*დღის წესრიგი:*

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

*1.* ***ეკა დვინჯილია*** – სადისერტაციო თემა: ***“მაკროეკონომიკური რეგულირების ფისკალური ინსტრუმენტები და მათი სრულყოფის გზები (საქართველოს მაგალითზე)”***
მეცნიერ- ხელმძღვანელი: ***ასოც. პროფესორი ნაზირა კაკულია***

*2.* ***ნიკოლოზ სუმბაძე*** – სადისერტაციო თემა: ***“სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროკავშირის ენერგოთანამეგობრობაში გაერთიანების პერსპექტივები”***
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***ასოც. პროფესორი ირინა გოგორიშვილი***

*3.* ***ირაკლი გალდავა*** – სადისერტაციო თემა: ***“საქართველოში ელექტროენერგიის წარმოებისა და მასზე მოთხოვნის სტრუქტურული ანალიზი და პროგნოზირება”***
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***სრული პროფესორი იური ანანიაშვილი***

*4.* ***გოჩა ჩიტიძე*** – სადისერტაციო თემა: ***“საქართველოს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების მეთოდები და მოდელები”***
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***სრული პროფესორი იური ანანიაშვილი***

*5.* ***მიხეილ ჯაფარიძე*** – სადისერტაციო თემა: ***“სადაზღვევო ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”***
მეცნიერ- ხელმძღვანელი: ***სრული პროფესორი ნუგზარ თოდუა***

2. დისერტანტ ***იზა გიგაურის*** დისერტაციის ***„მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე“*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის (92 ქულა, „ფრიადი“( *summa cum laude*). დამტკიცებისა და ***„ბიზნესის ადმინისტრირების”*** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;

3. დისერტანტ ***ქრისტინა ჯღანჯღავას*** დისერტაციის ***„უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე“*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის (91 ქულა, „ფრიადი“ ( *summa cum laude*). დამტკიცებისა და ***„ბიზნესის ადმინისტრირების“*** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი.
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ***ნატო ჩადუნელის*** (სადისერტაციო ნაშრომი – ***„ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში“*** მეცნიერ-ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ***იაშა მესხია)*** შემფასებლების შერჩევის საკითხი.
5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ***ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილის*** სადისერტაციო ნაშრომის – ***„მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“*** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ***რევაზ გველესიანი)*** შემფასებლების შერჩევის საკითხი.
6. მიმდინარე საკითხები.

***/სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ე. მექვაბიშვილი/***

**მოისმინეს: 1.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სრული პროფესორის ე. მექვაბიშვილის განცხადება, დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

**ჩატარდა კენჭისყრა:** გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

**დაადგინეს 1.1.** დამტკიცდეს სადისერტაციო საბჭოს დღის წესრიგი წარმოდგენილი ფორმით.

**მოისმინეს 2.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სრული პროფესორის ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი.

**აზრი გამოთქვეს:** დოქტორანტ ***ნიკოლოზ სუმბაძისა და მიხეილ ჯაფარიძის*** სადისერტაციო თემის სათაურმა, სადისერტაციო საბჭოს წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, იქედან გამომდინარე, რომ დოქტორანტი ნიკოლოზ სუმბაძე და მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, თემის სათაური დაზუსტდეს და დამტკიცდეს მომდევნო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. დოქტორანტ მიხეილ ჯაფარიძის მეცნიერ-ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა ნუგზარ თოდუამ განმარტა, რომ სადისერტაციო თემის სათაური დაზუსტებას არ საჭიროებს და სასურველია დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

**ჩატარდა კენჭისყრა:** გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

**დაადგინეს 2.1.** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემა და მეცნიერ-ხელმძღვანელი:

*6.* ***ეკა ღვინჯილია*** – სადისერტაციო თემა: ***"მაკროეკონომიკური რეგულირების ფისკალური ინსტრუმენტები და მათი სრულყოფის გზები (საქართველოს მაგალითზე)"***

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***ასოც. პროფესორი ნაზირა კაკულია***

*7.* ***ირაკლი გალდავა*** – სადისერტაციო თემა: ***"საქართველოში ელექტროენერგიის წარმოებისა და მასზე მოთხოვნის სტრუქტურული ანალიზი და პროგნოზირება"***

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***სრული პროფესორი იური ანანიაშვილი***

*8.* ***გოჩა ჩიტიძე*** – სადისერტაციო თემა: ***"საქართველოს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების მეთოდები და მოდელები"***

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***სრული პროფესორი იური ანანიაშვილი***

*9.* ***მიხეილ ჯაფარიძე*** – სადისერტაციო თემა: ***"სადაზღვევო ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში"***

მეცნიერ- ხელმძღვანელი: ***სრული პროფესორი ნუგზარ თოდუა***

**მოისმინეს 3.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სრული პროფესორის ე. მექვაბიშვილის განცხადება, დისერტანტ ***იზა გიგაურის*** დისერტაციის ***„მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე"*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის (92 ქულა, „ფრიადი" (*summa cum laude*) დამტკიცებისა და ***„ბიზნესის ადმინისტრირების"*** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

**აზრი გამოთქვეს:** საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს

**ჩატარდა კენჭისყრა**: კენჭი უყარეს დისერტანტ ***იზა გიგაურის*** დისერტაციის ***„მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე"*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის (92 ქულა, „ფრიადი"(*summa cum laude*). დამტკიცებასა და ***„ბიზნესის ადმინისტრირების"*** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

**დაადგინეს 3.1.** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ***იზა გიგაურის*** სადისერტაციო კომისიის დასკვნა (92 ქულა, „ფრიადი" (*summa cum laude*) და მიენიჭოს ***„ბიზნესის ადმინისტრირების"*** დოქტორის აკადემიური ხარისხი.

**მოისმინეს 4.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სრული პროფესორის ე. მექვაბიშვილის განცხადება, დისერტანტ ***ქრისტინა ჯღანჯღავას*** დისერტაციის ***„უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე“*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის (91 ქულა, „ფრიადი“ ( *summa cum laude*). დამტკიცებისა და ***„ბიზნესის ადმინისტრირების”*** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

**ჩატარდა კენჭისყრა:** კენჭი უყარეს დისერტანტ ***ქრისტინა ჯღანჯღავას*** დისერტაციის ***„უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე“*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის (91 ქულა, „ფრიადი“ ( *summa cum laude*). დამტკიცებასა და ***„ბიზნესის ადმინისტრირების”*** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

**დაადგინეს 4.1.** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ***ქრისტინა ჯღანჯღავას*** სადისერტაციო კომისიის დასკვნა (91 ქულა, „ფრიადი“ ( *summa cum laude*) და მიენიჭოს ***„ბიზნესის ადმინისტრირების”*** დოქტორის აკადემიური ხარისხი.

**მოისმინეს 5.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარის, სრული პროფესორის ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ***ნატო ჩადუნელის*** სადისერტაციო ნაშრომზე – ***„ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში“*** მეცნიერ-ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ***იაშა მესხია)*** შემფასებლებად ***პროფესორ ანზორ აბრალავასა და პროფესორ თეიმურაზ ხომერიკის*** დამტკიცების შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** სადისერტაციო საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

**ჩატარდა კენჭისყრა:** წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

**დაადგინეს 5.1.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ***ნატო ჩადუნელის*** სადისერტაციო ნაშრომის ***„ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში“,*** შემფასებლებად დამტკიცდეს ***პროფესორი ანზორ აბრალავა და პროფესორი თეიმურაზ ხომერიკი.***

**მოისმინეს 6.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის თავჯდომარის, სრული პროფესორი ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ***ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილის*** სადისერტა-ციო ნაშრომზე – ***„მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს***

***ეკონომიკაზე“*** შემფასებლებად ***პროფესორ რამაზ აბესაძისა და პროფესორ ევგენი ბარათაშვილის*** დამტკიცების შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** სადისერტაციო საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

**ჩატარდა კენჭისყრა:** გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

**დაადგინეს 6.1.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ***ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილის*** სადისერტაციო ნაშრომის – ***„მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“*** შემფასებლებად დამტკიცდეს ***პროფესორი რამაზ აბესაძე და პროფესორი ევგენი ბარათაშვილი***.

სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე,
სრული პროფესორი ე. მექვაბიშვილი

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი მ. ლობჟანიძე